ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 1233/01
03/02/2020

1233-01-2-202002030945

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

შპს „საქგზამეცნიერებას“
მის: ქ. თბილისი, სულაკაურის ქ. N6, ბ. 24

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 13 იანვრის N275 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება საჩხერისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში, სოფელ ლიჩიდან სოფელ ნადაბურამდე (თბილისი - სენაკი-ლესელიძე E60 ცენტრალურ მაგისტრალამდე) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის და მასზე არსებული ორი სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაციისა და მდინარე ძირულაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტს.

სკოპინგის განცხადებით და სკოპინგის ანგარიშით წარმოდგენილია სოფელ ლიჩიდან სოფელ ნადაბურამდე (თბილისი-სენაკი-ლესელიძე E60 ცენტრალურ მაგისტრალამდე) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის და მასზე არსებული ორი სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაციისა და მდინარე ძირულაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტი. გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკოპინგის ანგარიშის და Shape ფაილების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროექტით გათვალისწინებული გზის მონაკვეთი იწყება სოფ. ლიჩში და სოფ. ნადაბურის და სოფ. ციცქიურის გავლით უკავშირდება თბილისი-სენაკი ლესელიძის E60 ცენტრალურ მაგისტრალს. ვინაიდან, სკოპინგის ანგარიში მოიცავს გზის სამივე მონაკვეთს (ჯამში 15.58 კმ) და გზის მესამე მონაკვეთი გადის სოფ. ციცქიურის ტერიტორიაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის დასახელება საჭიროებს რედაქტირებას.

წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით ვერ დგინდება კონკრეტულად რას ითვალისწინებს გზის პირველ და მესამე მონაკვეთზე დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ვინაიდან, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია გზის სამივე მონაკვეთი ერთიანი პროექტის სახით, შესაბამისად საჭიროა სკოპინგის ანგარიშში განხილული იყოს გზის პირველი და მეორე მონაკვეთის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კონკრეტულად გზის გაბარიტები და რეკონსტრუქციის შედეგად გაბარიტების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები (როგორც არსებული ისე დაგეგმილი რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული გზის პარამეტრები).

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ამასთან, სკოპინგის ანგარიშში გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება წარმოდგენილია ზედაპირულად, მხოლოდ ცხრილის სახით. გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ ინფორმაცია სკოპინგის ანგარიშში განხილული უნდა იყოს ცალ-ცალკე. ასევე სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ჩასატარებელი საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ.

ასევე გაცნობებთ, რომ სკოპინგის განცხადება წარმოდგენილია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, ხოლო სკოპინგის ანგარიშით დგინდება, რომ საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიას წარმოადგენს შპს „საქგზამეცნიერება“. აღნიშნულიდან გამომდინარე განახლებული სკოპინგის განცხადება და სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენს მიერ საჩხერისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში, სოფელ ლიჩიდან სოფელ ნადაბურამდე (თბილისი-სენაკი-ლესელიძე E60 ცენტრალურ მაგისტრალამდე) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის და მასზე არსებული ორი სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაციის და მდინარე ძირულაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობასთან დაკავშირებული სკოპინგის დოკუმენტაცია.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „საქგზამეცნიერება“ უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დაზუსტებული დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე